პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ს

სტარტზე არიან მოყვარულები

ბაკურიანი ცნობილია როგორც დიდ შეჯიბრებათა ადგილი სათხილამურო სპორტში და ამ შეჯიბრებებზე სათხილამურო სპორტის მოყვარულნი, როგორც წესი, გამოდიან მხოლოდ მაყურებელთა როლში, ვინაიდან მათ იმდენად ვერ აუთვისებიათ ტექნიკა, რომ უძლიერესებს შეეჯიბრონ. მაგრამ ამ ახალბედებსაც აქვთ სურვილი, სცადონ ძალები რბენასა და სლალომის ტრასაზე. ეს განსაკუთრებით ითქმის სტუდენტთა და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებზე. მათი სურვილი გაითვალისწინა საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და სტუდენტთა არდადეგების დღეებში შარშან პირველად ჩაატარა მოყვარულთა შეჯიბრება, რამაც ახალგაზრდობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

წამოწყება ტრადიციად იქცა. მოყვარულთა შეჯიბრების სტარტზე წელსაც უამრავმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი. პროგრამაში იყო სლალომი, სწრაფდაშვება და რბენა.

საინტერესო გამოდგა შეჯიბრება სლალომში, სადაც ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდებს გარდა მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა სტუდენტებმაც. გასული წლის ჩემპიონმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ი. ბერძენიშვილმა სლალომის ტრასის გავლას 1.07,0 მოანდომა და სერიოზული განაცხადი გააკეთა ამ ტიტულის შენარჩუნებისათვის. მართლაც, მისი შედეგის გაუმჯობესება კარგა ხანს ვერავინ შეძლო. ერთადერთი, ვინც მას აჯობა, ეს იყო ლენინგრადელი ბ. ჩიჟიკოვი. მან 5,6 წამით უკეთესი დრო აჩვენა და მოიპოვა პირველობა. მესამე ადგილზეა ქარხანა „ელექტროგამშვების“ ინჟინერი ბ. ბურჭულაძე.

ქალთა შორის პირველობა შეინარჩუნა გასული წლის შეჯიბრებაში გამარჯვებულმა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ც. მჭეიძემ.

სწრაფდაშვებაში უძლიერესი აღმოჩნდა ბ. ბურჭულაძე—23,9. 0,1 წამით უარესი დრო ჰქონდა მ. კიბარაოიძეს. სლალომში გამარჯვებული ბ. ჩიჟიკოვი ამჯერად იძულებული გახდა მესამე ადგილით დაკმაყოფილებულიყო. თუ სლალომში ქალთა შორის აშკარა იყო ც. მჭეიძის უპირატესობა, სწრაფდაშვებაში მას არა მარტო კონკურენცია გაუწია უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტმა ც. გიორგაძემ, არამედ პირველი ადგილიც „გამოგლიჯა“ ხელიდან.

რბენაში მონაწილეობის სურვილი ძირითადად ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა და სპორტის სხვა სახეობებში მომეცადინეებმა გამოთქვეს. ისევე, როგორც შარშან, წელსაც ლიდერობა სტარტიდანვე ხელთ იგდეს ველოსიპედისტებმა. ფინიშთან პირველი იყო „კოლმეურნეს“ ერთერთი უძლიერესი ველოსიპედისტი ნ. ტრეტიაკოვი, რომელმაც 10 კილომეტრის გარბენას მოანდომა 44 წუთი და 22 წამი. მომდევნო ადგილებზე ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. სავოიანმა და აჩიგვარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტმა ბ. ძიძიგურმა.

აღსანიშნავია, რომ ხუთმა გამარჯვებულმა აჩვენა III თანრიგის შედეგი, მაგრამ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა ნაკლებად ეტანება რბენას, რის გამოც ამ სახეობაში თბილისის მთელი რიგი სასწავლებლებიდან თითქმის არც ერთს არ გამოუთქვამს მონაწილეობის სურვილი.

რ. პოპოვა,
საქ. აღკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი.

ფიზიკური კულტურის გაკვეთილის სტრუქტურის შესახებ

✦

ა. რატია
საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი

✦

უკანასკნელ წლებში ფიზიკური აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში დამკვიდრდა 3-ნაწილიანი გაკვეთილი. ამით თითქოს მიღწეულ იქნა გაკვეთილის სტრუქტურის ერთიანი გაგება. სწორედ ამ დროს გამოვიდა ფიზიკური აღზრდის თეორიის ორი სახელმძღვანელო მოსკოვის და ლენინგრადის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მასწავლებელთა ავტორობით. პირველ სახელმძღვანელოში წარმოდგენილია 4, მეორეში კი 3-ნაწილიანი გაკვეთილი. კვლავ დაიწყო დავა, თუ რომელი ავტორია მართალი.

გაკვეთილის სტრუქტურის არსი ორივე სახელმძღვანელოში სწორად არის განსაზღვრული. რაც შეეხება ნაწილების რაოდენობას, მათ დანიშნულებას, ამოცანებსა და შინაარსს, სხვადასხვაა. განვიხილოთ უფრო დეტალურად.

მოსკოვის სახელმძღვანელოს მიხედვით: „ყოველი მეცადინეობის პირველი ნაწილი“, დაწყებითი ორგანიზაციისა და მომეცადინეთა მუშაობაში ჩაბმის ფუნქციას ასრულებს. მეცადინეობის გაკვეთილობრივ ფორმაში ჩამზიდი ნაწილი შეიცავს მაორგანიზებელ ვარჯიშებს და მასწავლებლის მაორგანიზებელ მოქმედებებს. ამ ნაწილში ხდება გაკვეთილის ამოცანის განმარტება, ყურადღების მობილიზაცია და მეცადინეობებისადმი ინტერესის შექმნა.

მეორე, მოსამზადებელი ნაწილი მეცადინეობის ყველა ფორმას გააჩნია. ეს ნაწილი მოთელვის შინაარსს ატარებს, რომელიც საჭიროა ფიზიოლოგიური პროცესების ინერტულობის გადასალახავად და ცენტრალურ ნერვულ სისტემაში კოორდინაციული კავშირების მიმართვისათვის, რათა დადგენილ იქნას თანაფარდობა სამოძრაო აპარატსა და შინაგან ორგანოებს შორის გარკვეული ვარჯიშების შესრულების დროს.

მესამე ნაწილი ახორციელებს იმ ფუნქციას, რისთვისაც ეწყობა მეცადინეობა მთლიანად — სწავლება და აღზრდა.

მეოთხე ნაწილი დასკვნითი, საბოლოო ნაწილია.

ლენინგრადის სახელმძღვანელოს მიხედვით: პირველი „ჩამზიდი“ ნაწილს დანიშნულებაა მომეცადინეთა ორგანიზაცია და მათი სათანადოდ განლაგება გაკვეთილის ჩასატარებლად, ყურადღების გადატანა სამეცადინო საგანზე, დადებითი ემოციების უზრუნველყოფა, სამოძრაო აპარატისა და შინაგან ორგანოების ფუნქციების მომზადება წინამდებარე სამუშაოსათვის.

მეორე, „ძირითადი“ ნაწილის ამოცანას წარმოადგენს კუნთური სისტემის, სასუნთქავი და სისხლის მიმოქცევის ორგანოების განვითარება, სწორი აღნაგობის საერთო კოორდინაციის აღზრდა, მოძრაობითი ჩვევების გამომუშავება, ფიზიკური განვითარება და მომეცადინეთა მომზადება სხვადასხვა პირობებში ვარჯიშის შესასრულებლად. გაკვეთილის მესამე ნაწილი — დამამშვიდებელი, საბოლოო ნაწილია.

ზემოთ მითითებული 4 და 3 ნაწილიან გაკვეთილებში სტრუქტურის მიხედვით გამოყოფილია დამხმარე და ძირითადი ნაწილები. მოსკოვის სახელმძღვანელოში სამი დამხმარე ნაწილია — ჩამზიდი, მოსამზადებელი და საბოლოო, ხოლო ლენინგრადის სახელმძღვანელოში ორი — ჩამზიდი და საბოლოო. ასეთი მდგომარეობა საგრძნობ გაურკვევლობასა და წინააღმდეგობას იწვევს.

გაკვეთილის სტრუქტურული წყობა არ შეიძლება იყოს ნებისმიერი. იგი ფიზიკური აღზრდის მწყობრი პედაგოგიური პროცესია და მისი სტრუქტურა უნდა ითვალისწინებდეს და გამომდინარეობდეს ადამიანის, პიროვნების ბუნების განვითარების კანონზომიერებებისა და იმ საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებებიდან, რომელშიც სამოღვაწეოდ ემზადება მომეცადინე. მომეცადინეთა ასაკი, მათი მომზადება, მეცადინეობის ადგილი, კლიმატური პირობები, ვარჯიშთა სახეობანი და სხვა ფაქტორები გავლენას ახდენენ გაკვეთილის შინაარსზე, მასში გამოყენებულ საშუალებათა ორგანიზაციაზე, მეთოდებზე და არა გაკვეთილის სტრუქტურაზე.

როგორც ვნახეთ 4-ნაწილიან გაკვეთილში 1-ლი და მე-2 ნაწილი მომეცადინეებს ამზადებს ძირითადი ნაწილისათვის, რომელშიც ხორციელდება „ის ფუნქცია, რისთვისაც ეწყობა მთელი მეცადინეობა“. ეს კი მოითხოვს, როგორც მომეცადინეთა ორგანიზაციას, მათი ყურადღების მობილიზაციას და მეცადინეობისადმი ინტერესის შექმნას, ისე ორგანიზმის სისტემებისა და ორგანოთა ფუნქციების ინერტულობის გადალახვას, გაკვეთილის ძირითად ნაწილში შეტანილი ვარჯიშების დასაუფლებლად მათ საჭირო და შესატყვის კოორდინაციას. ამისი მიღწევა ფიზკულტურის გაკვეთილზე მხოლოდ და მხოლოდ ხდება ვარჯიშის გამოყენების გზით. ამიტომ მეცადინეობისადმი განწყობა და ორგანიზმის სათანადოდ მომზადება — ე. ი. ვარჯიშის გზით ერთისა და მეორე მოთხოვნის უზრუნველყოფა ხდება არა ცალცალკე, ერთიმეორის შემდეგ, არამედ — ერთად.

მომეცადინეთა მომზადება ძირითადი ნაწილისათვის შერწყმულად უნდა მოხდეს. ასეთი მომზადება ნაკარნახევია თვით ადამიანის ბუნების თავისებურებით.

ამის გამო არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ, რომ კონკრეტულ მეცადინეობაზე, გაკვეთილზე, რომელიც ნაწილებისაგან შედგება (ჩამზიდ ნაწილში) ჯერ მარტო მომეცადინეთა ფსიქიკურ სფეროზე ვიმოქმედოთ და ანგარიში არ გავუწიოთ ფიზიკურს, და მერე (მოსამზადებელ ნაწილში) ვიმოქმედოთ ფიზიკურ სფეროზე და მოვწყვიტოთ მას ფსიქიკური. შემდეგ კი ვეცადოთ ისინი ერთმანეთს დავამთხვიოთ და გავხადოთ შესატყვისი გაკვეთილის ძირითადი ნაწილისათვის. ეს ხელოვნური გზაა და ფაქტიურად შეუძლებელიც.

ისევ, რაც მომეცადინის მოსამზადებლად გამოიყენება ძირითად სამუშაოს შესასრულებლად, პირველყოვლისა და ძირითადად მოსამზადებელი ხასიათის საშუალებაა და გაკვეთილის ის ნაწილი, რომელშიაც ასეთი მომზადება ხდება, მართებულია მოსამზადებელ ნაწილად იწოდებოდეს და არ იყოს დაყოფილი ჩამზიდ და მოსამზადებელ ნაწილებად.

მოსამზადებელ ნაწილში ძირითადი ნაწილისათვის მომეცადინეთა მოსამზადებლად საჭიროა ყველა ამოცანების გაერთიანება და გადაწყვეტის შესაძლებლობა ხსნის დღემდე გავრცელებულ საკითხს იმის შესახებ, რომ მომეცადინეთა ერთ კონტიგენტთან უნდა იქნეს გამოყენებული 4-ნაწილიანი გაკვეთილი, მეორე კონტიგენტთან კი 3 ნაწილიანი.

თუ როგორია მომეცადინეთა კონტიგენტი უპირატესად რას უნდა მივაპყროთ მათი ყურადღება, რომ მოკამზადოთ გაკვეთილის ძირითადი ნაწილისათვის, ან რა მხარეებზეა საჭირო ვიმოქმედოთ, მოითხოვს სათანადო ვარჯიშების, მათი ორგანიზაციის ფორმის და მეთოდების შერჩევას და აქედან გამომდინარე გაკვეთილის მოსამზადებელ ნაწილში გათვალისწინებულ ამა თუ იმ პედაგოგიურ ამოცანებზე მასწავლებლის მიერ მეტ ან ნაკლებ აქცენტირებას.

ფიზკულტურის გაკვეთილის, როგორც პედაგოგიური პროცესის, მთლიანობის აუცილებლობის პრინციპი განსაზღვრავს მასში მოსამზადებელ, ძირითადი და დასკვნითი ნაწილის აუცილებლობას, მათ დანიშნულებას, შესაბამის ამოცანებს და მათ ურთიერთ კავშირს. ყველა სახის ძირითადი სამუშაოს შესრულებისათვის საჭიროა წინასწარი მომზადება, თვით დასახული სამუშაოს შესრულება და ბოლოს მისი დამთავრება, შეჯამება, დასკვნა და თუ ამ დროს ფიზიკურ დატვირთვას ჰქონდა ადგილი, აღგზნებულობის დაქვეითება, დამშვიდება.

გამართლებული არ არის აზრი იმის შესახებ, რომ მაგალითად: ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშების შესრულება მომეცადინეთა გარკვეულად მოწყობასა და ორგანიზაციას მოითხოვს, საჭიროა იყოს მოსამზადებელი ნაწილის ცალკე გამოყოფა და მისი პირველი ნაწილის „ჩამზიდის“ შემდეგ ჩატარება.

გადამწყვეტი გაკვეთილში ის კი არ არის, თუ რა როგორ ეწყობა, არამედ ის თუ რა რისთვის ეწყობა, რა დანიშნულებით გამოიყენება და რას უნდა მოემსახუროს.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ჩვენ სწორად მიგვაჩნია, რომ გაკვეთილი სტრუქტურულად შედგებოდეს სამ, ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ მოსამზადებელ, ძირითად და დასკვნითი ნაწილისაგან.

გაკვეთილის ასეთი სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

I ნაწილი — მოსამზადებელი: **მიზანდანიშნულება** — მომეცადინეთა მომზადება ძირითადი ნაწილისათვის. **ამოცანები:** მომეცადინეთა ორგანიზაცია, ყურადღების მობილიზაცია, ორგანიზმის სისტემებისა და ორგანოთა ფუნქციების საერთო და სპეციალური მომზადება. **საშუალებანი:** — ყველა ის ვარჯიშები, რომელთა სათანადო ორგანიზაცია უზრუნველყოფს ამ ნაწილის ამოცანების განხორციელებას. ვარჯიშები, რომელიც მომეცადინეებს შესწავლილი აქვთ, არ მოითხოვენ დიდ როლს, რომ მათში გაერკვნენ — მწყობრი და გადაწყობანი, სიარული, რბენა, მარტივ წინაღობათა გადალახვა, ზოგადი და სპეციალური „მოთელვა“, მოძრავი თამაშობანი და ვარჯიშთა კომპლექსები სპორტის ცალკეულ სახეობების მიხედვით. **მეცადინეობის ორგანიზაცია** — ჯგუფური (ცალსი, ჯგუფი, ქვეჯგუფი), ინდივიდუალური (სპეციალური დავალებით).

მეთოდები: — ვარჯიშების დანიშნულებისამებრ შესრულების მეთოდები ცალკე ელემენტების და ზოგი ნაერთების შესრულება, ვარჯიშის დაძაბულობით, დაუძაბავად ერთ ან ცვალებად ტემპში ჩატარება, სწრაფად, ხანგრძლივად, მოულოდნელი სიგნალებით და სხვა.

II ნაწილი—ძირითადი, მიზანდანიშნულება — გაკვეთილის წინაშე დასახული ამოცანების რეალიზაცია, **ამოცანები:** — ორგანიზმის ყველა სისტემისა და ორგანოთა ფუნქციების ქმედითუნარიანობის განვითარება, მოძრაობითი ჩვევებისა და ფიზიკური თვისებების გამომუშავება და სრულყოფა, მათი რთულ პირობებში გამოყენების უნარის განვითარება. **საშუალებანი** — ყველა სახეობის ვარჯიშები, ცოდნის, ჩვევების და ფიზიკური თვისებების სრულყოფა-განვითარებისათვის (სასწავლო პროგრამის, საკლასიფიკაციო პროგრამის, იმეორებისა და მშთ კომპლექსის, სპორტის სახეობების მიხედვით). **მეცადინეობის ორგანიზაცია** — ინდივიდუალური (თანმიმდევრობითი) ჯგუფური, გუნდური (თამაშობანი და სხვა). **მეთოდები** — სწავლების, სრულყოფისა და წვრთნის მეთოდები. **III ნაწილი** — დასკვნითი **მიზანდანიშნულება** — მომეცადინეთა ფიზიკური დატვირთვის დაქვეითება, მეცადინეობის ორგანიზებულად დამთავრება. **ამოცანები:** — ორგანიზმის აღგზნებულობის თანდათანობითი დაქვეითება, მეცადინეობის შეჯამება. დავალების მიცემა. **საშუალებანი:** — მარტივ ვარჯიშები, **ორგანიზაცია:**—ჯგუფური, ინდივიდუალური.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გაკვეთილის ასეთი სტრუქტურა უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა. იგი გამოსადეგია ყველა ასაკისა და მომზადების კონტიგენტთან, როგორც სასწავლო ისე საწვრთნელი ხასიათის მუშაობაში.

ბათუმელთა სპარტაკიადა

ზღვისპირა ქალაქის მკვიდრნი დიდი ინტერესით მონაწილეობდნენ ბათუმის საიუბილეო სპარტაკიადაში, რომელიც ჩატარდა სპორტსაზოგადოებებისა და დაწესებულებათა გუნდებს შორის.

პირველ ჯგუფში სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩემპიონები გახდნენ: პედაგოგიური ინსტიტუტი — მაგიდის ჩოგბურთში, ქართულ ჭიდაობაში, ტანვარჯიშში (ვაჟთა შორის), ხელბურთსა და კალათბურთში (ქალთა შორის); „განთიადის“ წყალჯომარდობის საფეხური — წყალბურთში, ლუდის ქარხანა — ცურვაში, ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა — ფრენბურთში, აჭარკოოპკავშირის გუნდი — ველოსპორტში და სხვ.

მეორე ჯგუფის კოლექტივებს შორის თავი ისახელეს ელექტროხელსაწყოების, ციტრუსკომბინატის, სავაჭრო ტექნიკუმის, რკინიგზის კვანძის, საზღვაო სასწავლებლის და სხვა დაწესებულებათა სპორტსმენებმა, რომლებმაც ცალკეულ სახეობებში მოიპოვეს ჩემპიონობა.

საერთო ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ „განთიადის“ სპორტსმენები, მომდევნო ადგილებზე არიან „სპარტაკი“ და „დინამოს“ გუნდები.

ი. კუსიდ

ᲚᲔᲚᲝ
მე-2 გვ. № 21 (1657)

9 რესპუბლიკას შორის

ალმა-ატაში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა 9 მოძმე რესპუბლიკის სპორტსმენთა შეხვედრები სპორტის ზამთრის სახეობებში. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს გაიმართა ტრამპლინიდან ხტომა და სლალომი, ხტომებში გამარჯვებული გამოვიდა მინსკელი ვ. პავჩინსკი, რომელმაც ყველაზე უკეთესი შედეგი (227 ქ.) აჩვენა და გაასწარი უ. კაიაკსა („კალევი", ესტონეთი) — 223 ქ. და პ. გავას (საქართველო, „კოლმეურნე") — 220 ქულა. ორჭიდისა და ტრამპლინიდან ხტომის გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „კალევმა", „კოლმეურნე", გამოვიდა მეოთხე ადგილზე.

ქალთა 580-მეტრიანი სლალომის ტრასაზე ორი ცდით მონაწილეებს 86 კარი უნდა დაეძლიათ. აქ ყველაზე კარგი დრო აჩვენა კონკურსგარეშე მონაწილე ა. არტიომენკომ („ლოკომოტივი"), მან ორი ცდის ჯამში აჩვენა 1.47,8 წამი, ესტონელ ხ. ტალვისტეს („დინამო") შედეგია 2.01,2 წამი, რამაც მას მეორე ადგილი მოუტანა. ლ. გოგოლაძემ („კოლმეურნე") მოიპოვა მესამე პრიზიორის სახელი, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს სპორტსმენების მიერ სამთო სახეობებში (ვაჟთა და ქალთა შეჯიბრების ჯამში) მესამე ადგილის მოპოვებაში.

სპორტი — ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება!



სვანეთის მთებში

მესტია კავკასიონის მთებშია ჩაჭედილი. მის ირგვლივ მწვერვალებია — მარადთოვლიანი, ციცაბოფერდობებიანი და ძნელად მისასვლელი მწვერვალები. უკვე ეს ფაქტი, უკვე ეს ლანდშაფტი რაღაც თავისებურ წინამძღვარს წარმოადგენს იმისათვის, რომ კაცმა იფიქროს: აქ ალპინისტური სპორტი ყველაზე უფრო პოპულარული, ყველაზე უფრო საყვარელი სპორტი. და იგი არც შეცდება. სვანეთის მთებში აღზრდილმა, ფეხადგმულმა და დავაუკაცებულმა ალპინისტებმა მხოლოდ კავკასიონის მწვერვალებთან ჭიდლითი როდი გაითქვეს სახელი!..

მაგრამ, ბოლო ხანებში სპორტის ამ სახეობის ტრადიციულ სიყვარულს, მის პოპულარობას „მეტოქეები" გამოუჩნდნენ. აქაური მიდამო, მისი ფერდობები, რომლებსაც ზამთრის პერიოდში უხვად ეფინება ქათქათა თოვლი, აქაური ჯანსაღი ჰავა არა მარტო ალპინისტური სპორტის მიმდევართათვის არის თავისებური სპორტული მუზა, არამედ სხვა სახეობებისათვისაც. და ეს სახეობებიც თანდათანობით შემოდიან სვანეთის მთებში...

მესტიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მტკიცე ფიზკულტურული კოლექტივია ჩამოყალიბებული: აქ შექმნილია და სისტემატურად, ნაყოფიერად მუშაობენ სათხილამურო, მძლეოსნობის, ფრენბურთის, ფეხბურთის, ქართული ჭიდაობის, ჭადრაკისა და სხვა სახეობათა სექციები. ამ სპორტულ სექციებში 250 ფიზკულტურელია გაერთიანებული. ეს ფაქტები შესანიშნავად მეტყველებენ იმაზე, თუ როგორ უყვართ კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში სპორტი, რა მრავალმხრივია ეს სიყვარული, რა დიდი მონდომებით ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეობებს ახალგაზრდები.

მაგრამ ამავე ახალგაზრდებს — ფიზკულტურელებს უყვართ შრომაც და მათთვის მხოლოდ ამ საფუძველზე აქვს ფასი სპორტულ-ფიზკულტურულ წარმატებებსაც. ამიტომაა, რომ კოლმეურნეობის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია თინათინ ხერგიანი — მოწინავე მწველავი, რომელიც სიმწიფის ატესტატით ხელში, მოვიდა კოლმეურნეობის მხვნელფეხა რქიანი საქონლის ფერმაში და დიდი ენთუზიაზმით შეუდგა დამოუკიდებელ შრომითს საქმიანობას.

ამ ნაყოფიერ საკოლმეურნეო შრომასთან ერთად, ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე, ერთის წამითაც არ ივიწყებს მშობლიურ კოლმეურნეობაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების კეთილშობილურ საქმეს, სკოლაში მიღებულ ცოდნასა და ფიზკულტურულ ჩვევებს თ. ხერგიანი დაუღალავად ნერგავს კოლმეურნეობის ფიზკულტურულ ცხოვრებაში.

მაგრამ, თვითონ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი დიდ წარმატებებს ვერ მიაღწევდა, განსაკუთრებით სპორტის ზამთრის სახეობებში, თუ მას სისტემატური და ქმედითი დახმარება არ ექნებოდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს მხრივ. კერძოდ, საბჭოს თავმჯდომარე ნ. გვარლიანი სისტემატურ კონტროლსა და დახმარებას უწევს ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივს, ხშირად ამარაგებს მას სპორტული ინვენტარით, თხილამურებით, სამაგრებითა და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სათხილამურო სპორტი ყველა მისი სახეობით ღრმად იკიდებს ახლა ფეხს კოლმეურნეობის სპორტსმენებს შორის, ისევე, როგორც მთელს სვანეთში, რომლის წარმომადგენლებიც რესპუბლიკურ პირველობებზე სულ უფრო და უფრო დაუინებით „ერევიან" საპრიზო ადგილების განაწილების საქმეში. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ჩაატაროს დიდი შიდაკოლექტივო შეჯიბრება თხილამურებში, რომლის შედეგადაც დაკომპლექტდება კოლმეურნეობის საუკეთესო გუნდები. ეს კი მხოლოდ ერთ-ერთი ეტაპი იქნება შემდგომ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისალებად. მესტიის კოლმეურნეობის მოთხილამურეები წარმატებით გამოვლენ „კოლმეურნეს" რაიასბჭოს პირველობაზე და შემდეგ უფრო ფართო ასპარეზობებისაკენაც გაკვალავენ გზებს.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — მოთხილამურეები მორიგ მეცადინეობაზე. ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე თ. ხერგიანი.

ტექსტი და ფოტო
ვ. რატიანისა

სკოლა-ინტერნატი

თბილისის მეოთხე სკოლა-ინტერნატში [illegible] ბავშვი წყაროს, [illegible] 130 ჩაბმულია სპორტულ [illegible]ში, ისინი [illegible] ტის ოსტატ ნ. დარბაისელის ხელმძღვანელობით ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეობას, ბავშვების განკარგულებაშია კეთილმოწყობილი დარბაზი, რეგულარულად გამოდის სპორტული კედლის გაზეთი „სტარტი", გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება კლასებს შორის.

ახლა ამ სკოლის აღსაზრდელები ემზადებიან სარაიონო სპარტაკიადისათვის.

ი. ხაბეიშვილი

ჰ. რეკნაგელი ვერ მოხვდა „ექვსეულში"

მსოფლიოს უძლიერეს მოთხილამურეთა შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცის ქალაქ ფალენში გაიმართა, წარმატებით გამოვიდნენ შვეიცის, ფინეთისა და ნორვეგიის სპორტსმენები. მათ მოიგეს ვაჟთა შეჯიბრებანი 15 და 30 კმ-ზე, აგრეთვე ესტაფეტა 3×10 კილომეტრზე და ქალთა შეჯიბრება 10 კმ-ზე. საბჭოთა სპორტსმენებს დარჩათ გამარჯვება ესტაფეტაში 3×5 კმ-ზე, ორჭიდში უძლიერესი აღმოჩნდა გ. ფლაუგერი (გდრ) — 438,2 ქულა. ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა ნორვეგიელმა ტ. ენგლანმა — 228,5 ქ. (79 მ; 79 სმ), ნ. კამენსკი გამოვიდა 4 ადგილზე — 226,5 (77,5 და 79,5 მ) მსოფლიო ჩემპიონი ჰ. რეკნაგელი „ექვსეულში" ვერ მოხვდა.

ტურნირში მონაწილეობენ გროსმაისტერი რ. ხოლმოვი და ოსტატები ლ. შტეინი და ე. გუფელდი

XXII ჩემპიონატის გახსნა

გუშინ, 15 თებერვალს თბილისში რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო საქართველოს XXII საჭადრაკო ჩემპიონატის საზეიმო გახსნა. ჩემპიონატის მთავარი მსაჯის ვ. ქარსელაძის გამოსვლის შემდეგ გაიმართა კენჭისყრა. მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ:

1. ოსტატი ე. გუფელდი (კიევი), 2. ა. გაგუა, 3. ოსტატობის კანდიდატი რ. შეინცვიტი, 4. გ. ეგიაშვილი, 5. ე. მიქაელიანი, 6. ოსტატობის კანდიდატი გ. გამრეკელი (ხუთივე თბილისიდან), 7. ჯ. ბერაძე (წყალტუბო), 8. ი. ჩიქოვანი, 9. ოსტატობის კანდიდატი თ. ლომაია, 10. ოსტატობის კანდიდატი თ. გორგაძე, 11. ოსტატი ა. ბლაგიძე (ოთხივე თბილისიდან), 12. ოსტატობის კანდიდატი ა. ბრეიტმანი (ტყვარჩელი), 13. ოსტატობის კანდიდატი დ. ჯანოევი, 14. ოსტატობის კანდიდატი ა. იზვოზჩიკოვი, 15. ოსტატი მ. შიშოვი, 16. ოსტატი ბ. გურგენიძე, 17. ოსტატი ა. ბუსლაევი (ხუთივე თბილისიდან), 18. გროსმაისტერი რ. ხოლმოვი (ვილნიუსი), 19. ოსტატი ლ. შტეინი (ლვოვი), 20. ოსტატობის კანდიდატი გ. კალატოზიშვილი (თბილისი).

საკავშირო პირველობები

✦ ფრენგურთი

14 თებერვალს ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში შედგა ფრენბურთში საბჭოთა კავშირის პირველობის მორიგი კალენდარული მატჩი. თამაშობდნენ თბილისის „ბურევესტნიკისა" და ტალინის „კალევის" ქალთა გუნდები.

სტუმრებმა ამ შეხვედრამდე სამი დამარცხება განიცადეს, სამივე მშრალი ანგარიშით. მათი თამაში არ ხასიათდებოდა სიმწვავით, ტაქტიკური მრავალფეროვნებით. თბილისელებისა და ტალინელების მატჩის პირველ მოწოდებისთანავე ნათელი შეიქნა ყოველივე ეს. სტუმრები უშვებდნენ უხეშ შეცდომებს და როდესაც ანგარიშმა თბილისელთა სასარგებლოდ დაიწყო ზრდა, ისინი დაიბნენ, დაიკარგა ურთიერთ კავშირი და პარტია წააგეს. ასეთივე სურათი გამეორდა მეორე და მესამე პარტიაშიც.

მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0. ეს მათი პირველი ქულაა მიმდინარე წლის „ა" კლასის გუნდების საკავშირო გათამაშებაში.

✦ კალათბურთი

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდმა ჩაატარა მორიგი კალენდარული მატჩი საკავშირო პირველობაზე.

მისი მოწინააღმდეგე იყო კიევის ასპ. ეს გუნდი გათამაშების აუტსაიდერია და ის ერთადერთი ქულა, რომელიც მას გათამაშების ცხრილში უწერია, თბილისის „ბურევესტნიკთან" აქვს მოპოვებული. თამაში დაიწყო წყნარად. არცერთი მხარე არ ცდილობდა მატჩში სიმწვავის შეტანას. ასეთი „მშვიდობიანი" თამაში 10-15 წუთს გაგრძელდა.

შემდეგ დაიწყო თბილისელთა დაუნდობელი შტურმი და კიეველთა კალათში ახლო და შორი მანძილიდან განუწყვეტლივ ცვივდა ბურთები.

ტაიმი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 34:17. თამაშის მეორე ნახევარში ინიციატივას მთლიანად დაეუფლნენ თბილისელები და მატჩი მოიგეს დიდი ანგარიშით — 80:49.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 21 (1657)



სურათზე: თბილისის მე-14 საშუალო სკოლის მე-8 კლასელები ნ. და ქ. სეფერთელაძეები, წარჩინებულად სწავლობენ და ლენინის სახ. რაიონის კალათბურთელთა ნაკრებ გუნდშიც მონაწილეობენ.

ფოტო ვ. გოგაძისა.

„რეალი“ ეძებს ცენტრალურ ნახევარმცველს

„რეალის“ პატრონი ბარნაბეუ ცდილობს თავისი გუნდის შემდგომ გადახალისებას. ცენტრალური ნახევარმცველი ურუგვაის ნაკრების ყოფილი მოთამაშე სანტამარია რამდენიმე წლის განმავლობაში წარმატებით თამაშობდა „რეალში“. მან მიიღო ესპანეთის მოქალაქეობა და დღემდე თამაშობს ნაკრებშიც, მაგრამ სანტამარია ასაკის გამო თანდათან კარგავს თამაშის კლასს და „რეალი“ აპირებს ახალი ცენტრალური ნახევარმცველის შეძენას. ესაა ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი ბელინი, რომელიც რიო-დე-ჟანეიროს „ვასკო და გამაში“ თამაშობს. „რეალს“ წინათ არასოდეს მიუმართია ამ საკითხზე „ვასკო და გამასთვის“. ცნობილია მხოლოდ, რომ ბრაზილიელებმა არასგზით არ დაუთმეს ბელინი „ბარსელონას“. ბარნაბეუმ, რომლის გუნდმაც დათმო ევროპის ქვეყნების ჩემპიონების თასი, აპირებს დაიბრუნოს ეს ჯილდო. ამ მიზნით მან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში „აფრინა“ ემისრები, რომელთა მოვალეობასაც „რეალის“ ახალი მოთამაშეების შერჩევა შეადგენს.

26-ე ტურის შემდეგ

საფრანგეთის ფეხბურთელთა ჩემპიონატის 25-ე ტურის შემდეგ მდგომარეობა ლიდერთა შორის კვლავ მკვეთრად შეიცვალა „მონაკოს“ სასარგებლოდ. როგორც ცნობილია, მანამდე „მონაკოს“ და „რესინგს“ ჰქონდათ 36-36 ქულა და პირველ-მეორე ადგილებს იყოფდნენ. ამჯერად მონაკოელებმა, რომლებიც თავიანთ მოედანზე შეხვდნენ „ლიონს“, კვლავ ორი ქულა ჩაიწერეს თავიანთ აქტივში (3:1), მაშინ, როცა „რესინგი“ თავისსავე მინდორზე დამარცხდა „რუანთან“ და ისევ ორი ქულით ჩამორჩა ერთპიროვნულ ლიდერს.

ამავე ტურის შეხვედრებიდან აღსანიშნავია „რეიმსის“ დამარცხება „ტულუზასთან“ — 1:3 და გასული წლის პრიზიორის „ნიმის“ დამაჯერებელი გამარჯვება „ნიცასთან“ — 4:1. ამ მოგებით „ნიმმა“ მეშვიდე ადგილზე გადაინაცვალა და ოდნავ გამოასწორა თავისი სატურნირო მდგომარეობა.

26-ე ტურში „რესინგმა“ კვლავ დაკარგა ქულა. „ნიმმა“ მის წინააღმდეგ დიდი აღმავლობით ჩაატარა მატჩი თავის მინდორზე და მიაღწია ფრეს — 2:2.

„მონაკომ“ კვლავ 2 ქულა ჩაიწერა „ნანსისთან“ შეხვედრის შემდეგ — 2:0. ამავე ანგარიშით გაიმარჯვა „რეიმსმა“ „ლიონთან“. ახლა ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: „მონაკო“ — 40 ქულა, „რესინგი“ — 37 ქულა, „რეიმსი“ — 34 ქულა, „ანჟერი“ და „რუონი“ — 32-32 ქულა.

სტალინირი

აქ ჩატარდა ქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეთა პირად-გუნდური შეჯიბრება თხილამურებში. პროგრამაში იყო გოგონებისათვის: რბენა სხვადასხვა მანძილზე, სწრაფდაშვება და ესტაფეტა 3×3 კმ. ვაჟთათვის: რბენა, სწრაფდაშვება და ესტაფეტა 4×5 კმ.

3 კილომეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა ს. ვალიევამ, 5 კილომეტრზე გაიმარჯვა რ. სიუკაევამ, 8 კილომეტრზე და სწრაფდაშვებაში — ლ. ორლოვამ (ყველა მესამე სკოლა). ესტაფეტა 3×3 კმ მოიგო მესამე სკოლის გუნდმა.

ვაჟთა შორის 5 და 10 კილომეტრზე რბენაში გაიმარჯვა მეორე საშუალო სკოლის მოსწავლე რ. კოჩიევმა. 8 კმ ძლიერი იყო ა. პლიევი. სწრაფდაშვებაში — თ. ხეთაგური (პირველი სკოლა). ესტაფეტა 4×5 კმ მოიგო მეორე სკოლის გუნდმა.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა მესამე საშუალო სკოლამ.

ვ. მელქოევი

ამბროლაური

ჩატარდა ამბროლაურის მეორე საშუალო სკოლის პირველობა თხილამურებში. ვაჟთა შორის 5 კმ რბენაში გაიმარჯვა მეცხრე კლასელმა ვ. გოგორელიანმა. სწრაფდაშვება და ტრამპლინიდან ხტომა მოიგო მერვეკლასელმა რ. მუსერიძემ. გოგონათა შორის სამ კილომეტრიან მანძილზე იყო მერვე კლასელი ჯ. აგლაძე, სწრაფდაშვებაში ყველას აჯობა ნ. პლიევამ (მეხუთე კლასი). საერთო-პირველი გუნდური ადგილი მოიპოვეს მერვე კლასელებმა.

* * *

სოფელ იწას 20 მეტრიან ტრამპლინზე ჩატარდა ამბროლაურის პირველი და მეორე საშუალო სკოლებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეთა სამატჩო შეხვედრა ხტომებში. საპრიზო ადგილები დაიკავეს რ. მუსერიძემ (მეორე სკოლა), ს. ხუციშვილმა (პირველი სკოლა) და ჯ.გოგობერიშვილმა (ტექნიკუმი).

ა. ვაჩაძე



სურათზე: მწვრთნელი ა. თეოსიანი (მარჯვნივ) წუთშესვენებაზე მითითებას აძლევს გუნდის წევრებს.

თბილისის „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელთა გუნდმა საკავშირო პირველობაზე ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო.



ეს მოხდა საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის შემდეგ, შუაგულ პარიზში. ერთმანეთს ხვდებოდნენ გათამაშების ლიდერი — პარიზის „რესინგი“ და მეხუთე ადგილზე მყოფი „რუანი“. „რესინგისათვის“ ამ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ამ დროისათვის ის მეორე ლიდერთან — „მონაკოსთან“ ერთად იდგა გათამაშების ცხრილის სათავეში ქულათა ერთნაირი რაოდენობით — 36. „რესინგმა“ ეს მატჩი წააგო — 0:1; მან მნიშვნელოვნად შეასუსტა თავისი შანსები ჩემპიონობის მოპოვებისათვის; მაშასადამე, მან მნიშვნელოვნად შეასუსტა ის შანსებიც ეკონომიურ, ფინანსურ და მორალურ სფეროებში, რომლებიც პროფესიულ ფეხბურთში ჩემპიონობის მოპოვების ფაქტთან არის დაკავშირებული...

მაგრამ, მაინც, ყოველივე ეს არ იყო ამ დღეს ყველაზე დიდი დარტყმა „რესინგისათვის“. იგი, ეს დარტყმა, მას მწვანე მინდორზე კი არ ელოდა, არამედ ლა ფონტენისა და დონიცეტის ქუჩების კუთხეში, პატარა მოედანთან. აქ მოთავსებულ ბანკთან პარკ დე პრენსის სტადიონიდან მოვიდა „დს“ მარკის მანქანა, რომელშიც ისხდნენ პარკ დე პრენსისა და „რესინგის“ მოლარე ბოჟუენი, მისი მეუღლე და ორი კონტროლიორი. მანქანას ბანკში შესატანად მიქონდა აღნიშნული მატჩის შემოსავალი — 9.250.000 ფრანკი.

ირგვლივ ყველაფერი წესრიგში იყო: მოედანზე უამრავი ხალხი ირეოდა, ბანკის მცველი ჩვეულებისამებრ იცდიდა თავის პოსტზე. მანქანაც ზუსტად მისთვის განკუთვნილ ადგილზე გაჩერდა და... საჭესთან მჯდარი ბოჟუენის გვერდით ხმაურით ჩაიმსხვრა მინა, ხოლო მის საფეთქელს რევოლვერის ცივი ლულა მიებჯინა. შემდეგ ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა: ორმა განგსტერმა, რომლებსაც სახეზე დასვრილი ცხვირსახოცები ჰქონდათ აფარებული, კონტროლიორები მანქანიდან ჩამოყარეს და ჩანთით ხელში გადავიდნენ იმავე „დს“ მარკის მეორე მანქანაში, რომელიც სწორედ ამ დროს მოადგა გვერდით გაძარცულ მანქანას. შემდეგ ეს მანქანა ნელი სვლით დაიძრა წინ და შეუხვია პუსენის ქუჩაზე, უკან მას მიკრული ქონდა ნომერი — 5885.

შემდგომ ძიებამ დაადასტურა: განგსტერებმა გაიტაცეს 8.800.000 ფრანკიანი ჩანთა და სიჩქარეში ვერ შეუმჩნევიათ კიდევ ორი საკვლიავი, რომლებშიც იდო 250 ათასი და 200 ათასი ფრანკი; მანქანა № 5885 ეკუთვნოდა ერთ-ერთ საწარმოს გენერალურ პრეზიდენტს, მაგრამ მისი მანქანა არ იყო „დს“ მარკისა...

მეორე დილის 5 საათზე ხე-ტყის საწყობის მცველმა მუჰამედ ტეფამმა შემოვლის დროს იპოვა ცარიელი ჩანთა, რომელიც „რესინგს“ ეკუთვნოდა. ამ ჩანთიდან ამოღებული იყო არა უბრალოდ კლუბის შემოსავალი, არამედ „რუანისათვის“ ჰონორარად მისაცემი 2.100 ათასი ფრანკი, „რესინგის“ 3.200 ათასი ფრანკი, 950 ათასი ფრანკი მატჩის ორგანიზაციისათვის და 900 ათასი ფრანკი ფეხბურთის მოყვარეთა ამორტიზაციისათვის. ყველაფერი ეს კლუბს გადასახდელი დარჩა.

აღსანიშნავია, რომ ამ მოკლე ხანში ეს პირველი შემთხვევა არ არის ფეხბურთის სამყაროში. განგსტერთა „ვიზიტისა“ მანამდე რამდენიმე დღით ადრე, ტულუზაში, „ტულუზა“-„რეალისის“ მატჩის შემდეგ იყო ცდა გაეტაცნათ შემოსავალი, რომელიც ერ მილიონ ფრანკს აღწევდა. ცდა უშედეგოდ დასრულდა. მთავრდა იმიტომ, რომ ფული უკვე შეტანილი იყო ბანკის შენობაში და განგსტერები მხოლოდ მანქანიდან გატაცებულ 7 ათასი ფრანკით დაკმაყოფილდნენ.

ა. ამირანაშვილი

რედაქტორი ი. უგულავა.

18 თებერვალს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის საქმეთა დარბაზში შედგება მძლეოსნობის ფედერაციის პლენუმი

დასაწყისი 13 საათზე.

დღეს

საქართველოს XXII საბადრაკო ჩემპიონატის

პირველი ტურია

შეჯიბრება მიმდინარეობს შ. რუსთველის სახ. საკონცერტო დარბაზში.

დასაწყისი 17 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლენინ“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-63, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03844